1974 — ხუთწლედის განმსაზღვრელი წელი

პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 თებერვალი უთხშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 43 (15864)

საქართველოს მშრომელები აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს გადააქცევენ ჭეშმარიტად დამკვრელური შრომის წლად, ძალღონესა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ იმ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.



ცხინვალი. 1974 წლის 19 თებერვალი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ხალხთა მეგობრობის ორდენის გადაცემა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დარბაზობა ნ. ვ. პოდგორნისთან

19 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნინმ** მიიღო საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ირანის პარლამენტის დელეგაცია სენატის თავმჯდომარის **ჯაფარ შარიფ-იმამის** მეთაურობით.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს შეეხნენ სსრ კავშირისა და ირანის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საკითხებს, აგრეთვე ზოგიერთ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის განმტკიცება ემსახურება ორივე მეზობელი ქვეყნის ინტერესებს, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. **ნ. ვ. პოდგორნი** შეეხო დადებითს პროცესებს, რომლებიც მსოფლიოში ხდება, და ხაზი გაუსვა საბჭოთა კავშირის მისწრაფებას საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებისადმი.

დელეგაციის სახელით **ჯაფარ შარიფ-იმამმ** მადლობა უძღვნა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს გულითადი მასპინძლობისა და ამისათვის, რომ მას შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიენიჭა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

დღეს ცხინვალში გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემას. სხდომა გახსნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ი. მარდანოვმა.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ს. ძოწენიძეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა ავტონომიური ოლქის მშრომელებს მაღალი ჯილდო.

საბჭოთა ხალხი, რომელიც გმირულად შრომობს, თქვა გ. ს. ძოწენიძემ, კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად მიდის წინ და ახალ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს სოციალური პროგრესის, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების გზაზე. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აქტიურ, მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს კომუნიზმის მშენებლობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის კეთილსაყოფიერი პირობების უზრუნველყოფას, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას.

ილაპარაკა რა 1973 წელს საბჭოთა ხალხის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, გ. ს. ძოწენიძემ მოიყვანა ძირითადი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ამ წარმატებებში საქართველოს სს რესპუბლიკის წვლილს. ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო იმ ნეგატიური მოვლენების დაძლევისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც ამ ბოლო წლებში სუფევდა რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ დარგში. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს შეცდომებისა და გადახვევების გამოსწორებაში. ახლა რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მათ ხუთწლეულის მესამე, გადამწყვეტი წელი აღნიშნეს

ქმობისა და მეგობრობის დროშით

ცხინვალი, 19 თებერვალი. (საქინფორმის კორ.). საბჭოთა ხალხების ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეში მშრომელთა დიდი დამსახურებისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწევებისათვის და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის აღსანიშნავად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს მიენიჭა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

დღეს ცხინვალში გაიმართა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემას. სხდომა გახსნა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ი. მარდანოვმა.

საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბ. ს. ძოწენიძეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან მხურვალედ მიულოცა ავტონომიური ოლქის მშრომელებს მაღალი ჯილდო.

საბჭოთა ხალხი, რომელიც გმირულად შრომობს, თქვა გ. ს. ძოწენიძემ, კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად მიდის წინ და ახალ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს სოციალური პროგრესის, მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მეცნიერებისა და კულტურის აყვავების გზაზე. ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები მხურვალედ უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის აქტიურ, მიზანმიმართულ საქმიანობას, რომელიც ითვალისწინებს კომუნიზმის მშენებლობისათვის, მშვიდობის განმტკიცებისათვის კეთილსაყოფიერი პირობების უზრუნველყოფას, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვას.

ილაპარაკა რა 1973 წელს საბჭოთა ხალხის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, გ. ს. ძოწენიძემ მოიყვანა ძირითადი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ამ წარმატებებში საქართველოს სს რესპუბლიკის წვლილს. ერთ წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პრინციპული, შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო იმ ნეგატიური მოვლენების დაძლევისა და აღმოფხვრისათვის, რომლებიც ამ ბოლო წლებში სუფევდა რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო და იდეოლოგიურ დარგში. საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მოკლე დროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს შეცდომებისა და გადახვევების გამოსწორებაში. ახლა რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, მათ ხუთწლეულის მესამე, გადამწყვეტი წელი აღნიშნეს









ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანს

19 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი **ი. მარიაი** და ესაუბრა მას. საუბარმა გულთბილი, მეგობრული ვითარებაში ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინმა მიიღო

ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის ელჩები საბჭოთა კავშირში

19 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინმა** კრემლში მიიღო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **ი. გავლეკა** და ესაუბრა მას. საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ამავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინმა** მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **გ. ბადრუსი.** გამართულ საუბარს გულთბილი, მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს სსრ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ქალაქის მეურნეობის, მომსახურების სფეროს, მეცნიერებისა და კულტურის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების

სოციალისტური ვალდებულებანი 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

ამ ეცხრე ხუთწლედის გასული წელი აღინიშნა საბჭოთა ხალხის, საქართველოს მშრომელთა დიდი პატრიოტული აქტივობით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ცდილობენ რა დაძლიონ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში უკანასკნელ წლებში დაშვებული ჩამორჩენა, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შრომითმა კოლექტივებმა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობაში ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს.

რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 21 დეკემბრისათვის, შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 140 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 1972 წელთან შედარებით შეადგინა 7,3 პროცენტი, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა — 6 პროცენტი. პროდუქციის მატებამ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე შეადგინა 83 პროცენტი.

ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპმა 1973 წელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა ხუთწლედის პირველი ორი წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1972 წელთან შედარებით 4,5 პროცენტით გაიზარდა.

ახალ მიჯნებს მიაღწიეს მშენებლებმა. ამოქმედებულია გაცილებით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1972 წელს. გადამეტებით შესრულებულია სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მშენებლობის პროგრამა. გადაჭარბებით შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა, საექსპლოატაციოდ გადაცემულია დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით ერთ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს წელი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. რესპუბლიკის მეჩაიეებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 290 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და უკვე გადააჭარბეს ხუთწლედის დამლევისათვის დაგეგმილ მიჯნებს. შესამჩნევი ძვრები დაისახა ხაზოგადოებრივ სექტორში ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში. 1972 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა მარცვლეულის, ხორცის, რძისა და კვერცხის საერთო წარმოება.

ახალ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მეცნიერებმა ფუნდამენტურ და გამოყენებით მეცნიერებათა განვითარებაში, მეცნიერულ ნამუშევართა ეფექტიანობის ამაღლებასა და მათს დანერგვაში. განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი სახალხო განათლების სრულყოფის, მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო, სატრანსპორტო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

საქართველოს სს რესპუბლიკა სხვა რესპუბლიკებს შორის ცნეს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად და დაჯილდოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავეთა დიდი ჯგუფი შრომითს ფრონტზე წარმატებებისათვის დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათგან საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

მაგრამ რესპუბლიკის მშრომელნი ითვალისწინებენ, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობაში ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც არ იძლევიან რაიმე საფუძველს თვითდამშვიდებისათვის. 1974 წლის შემხვედრი გეგმების შემუშავებისას მშრომელებმა გამოთქვეს მზადყოფნა ყველგან განამტკიცონ ორგანიზებულობა და დისციპლინა, გააძლიერონ შრომითი შემართება, რათა პირნათლად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, იმ დებულებებით და დასკვნებით დასახული ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან პლენუმზე.

რესპუბლიკის მშრომელთა ახალი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, „1974 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“.

განსაზღვრავენ რა ახალ მიჯნებს შეჯიბრებაში, მშრომელთა კოლექტივები უპირველეს ყურადღებას უთმობენ ეკონომიური განვითარების ტემპის დაჩქარების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის უზრუნველყოფის ამოცანებს. „გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!“ — ასეთია საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელები, რომლებმაც შრომითს კოლექტივებში და რაიონული, საქალაქო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე ყოველმხრივ განიხილეს თვიანთი შესაძლებლობანი, 1974 წლისათვის კისრულობენ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს.

მრეწველობა

ამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა და უმნიშვნელოვანეს ნაკეთობათა გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბერს ძირითადი და შემხვედრი გეგმების გადამეტებით გაასაღონ 80 მილიონი მანეთის პროდუქცია, ამასთან უზრუნველყონ წარმოების ზრდის დასახული ტემპი. პროდუქციის მატების 85 პროცენტი მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ მრეწველობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება. ამოქმედონ 110 ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, დანერგონ და მოდერნიზაცია უყონ 600-ზე მეტ დიდმწარმოებლურ აგრეგატს, მანქანას, დანადგარს, ავტომატსა და ნახევრადავტომატს, 20 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომის ხვედრითი წონა. მრეწველობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად დაზოგონ სულ ცოტა 32 მილიონი მანეთი.

აითვისონ და გამოუშვან სულ ცოტა 550 ახალი სახეობის ნაწარმი. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით გადაჭრით გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი,

(გაგრძელება მე-2 გვ.).

სოციალისტური ვალდებულებანი 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

(გაგრძელება)

დაამთავრონ ნაწარმის ხარისხის დარგობრივი ატესტაცია, მიაღწიონ იმას, რომ სულ ცოტა 70 ნაკეთობას მიენიჭოს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

შრომისა და საწარმოო დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცების, ნედლეულის, მასალების, სათბობის ყირათიანი ხარჯვის, ნარჩენების, დანაკარგების შემცირების გზით დაზოგონ სულ ცოტა 6 ათასი ტონა შავი და ფერადი ლეთონები, 20 ათასი ტონა პირობითი სათბობი, 150 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

განაგრძონ მუშაობა დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფისათვის, წარმოების შემდგომი სპეციალიზაციისა და კონცენტრაციისათვის.

საკავშირო სამინისტროთა საწარმოებში წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვან: 75 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, 25 ათასი ტონა მარგანეცის მადანი, 20 ათასი ტონა ქვანახშირი, 3 ათასი ტონა თუჯი, 5 ათასი ტონა ფოლადი, 6,7 ათასი ტონა შავი ლითონების მზა ნაგლინი, 1,5 ათასი ტონა ფოლადის მილები, 1,5 ათასი ტონა ფეროშენადნობები, 300 ტონა კაპროლაქტამი, 150 ცალი ავტოსაწევარი, 150 ცალი ნახევრადმისაბმელი, 3 კოშკურა ამწე, 1 ცალი კოქსსაქრობი ელმავალი, 50 კლავიშიანი ელექტრონული მანქანა, 60 ერთეული ტექნოლოგიური მოწყობილობა კვების მრეწველობისათვის, 3 მილიონი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონელი, აგრეთვე სხვა პროდუქცია.

ცდილობენ რა ღირსეული წვლილი შეიტანონ სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი აღმავლობის საქმეში, ყოველნაირად გაუძლიერონ დახმარება სოფლის მშრომელებს, ვადამდე შეასრულონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სამრეწველო პროდუქციის მიწოდების დავალებანი, აგრეთვე წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ: 20 მცირეგაბარიტიან ტრაქტორს, 10 თვითმავალ შასის, 4 ათას ტონა მინერალურ სასუქებს, 20 გალია-ბატარიას მოქცეულისათვის და სხვა პროდუქციას. სისტემატურად გაუწევენ საშეფო დახმარებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მათი ტექნიკური აღჭურვის ამაღლების საქმეში.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით: სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 26 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 300 ათასი მანეთის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელი, აითვისონ 12 ათასი სახეობის ავეჯის სერიული გამოშვება, მიაღწიონ იმას, რომ 8 ნაწარმს მიენიჭოს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაზარდონ 0.5 პროცენტით, ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი — 1 პროცენტით.

საქართველოს სსრ მხუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხაზით: შეასრულონ 3 მილიონი მანეთის სასაქონლო და სარეალიზაციო პროდუქციის შემხვედრი გეგმები და დამატებით გამოუშვან და გაასაღონ 1,5 მილიონი მანეთის ნაწარმი, აქედან: 200 ათასი გრძივი მეტრი აბრეშუმის ქსოვილები, 900 ათასი გრძივი მეტრი ბამბის ქსოვილი, 240 ათასი წყვილი წინდა, 230 ათასი ტრიკოტაჟის საცვალი, 10 ათასი ცალი ზედა ტრიკოტაჟი, 8 ათასი ცალი ტყავსაგალანტერეო ნაწარმი, 600 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი. აითვისონ და გამოუშვან 380 ახალი სახეობისა და მოდელის სახალხო მოხმარების საქონელი, მათ შორის: ფეხსაცმელი — 142, ქსოვილები — 49, ტრიკოტაჟის ნაწარმი — 103 და შეკერილი ნაწარმი — 88. მიაღწიონ, რომ ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიენიჭოს 25 ნაწარმს.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს ხაზით: პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გაასაღონ 31 მილიონი მანეთის პროდუქცია, გეგმის გადამეტებით გამოიმუშაონ: 250 ტონა ნატურალური ხარისხოვანი ჩაი, 250 ტონა მწვანე აგურა ჩაი, 500 ათასი დეკალიტრი ყურძნის ღვინო, 300 ათასი ბოთლი შამპანური, 3 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი, 500 ტონა მცენარეული ზეთი, 1.000 ტონა პურ-ფუნთუშეული, 300 ტონა საკონდიტრო ნაწარმი, 300 ტონა მაკარონის ნაწარმი, 200 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი, 1200 ტონა ფერმენტირებული თუთუნი, 4 მილიონი ბოთლი მინერალური წყლები. გამოიმუშაონ 12 ახალი და გაუმჯობესებული სახეობის პროდუქცია, რომლებზეც მოსახლეობის გადიდებული მოთხოვნაა.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხაზით: პროდუქციის რეალიზაციის, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 4 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის: 1.500 ტონა ხორცი და სუბპროდუქტი, 400 ტონა ძეხვეული, 300 ტონა ყველი. აითვისონ და წარმოებაში დანერგონ სამი სახეობის ახალი პროდუქცია, მიაღწიონ იმას, რომ ორი სახეობის ნაწარმს მიენიჭოს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ხაზით: პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან და გაასაღონ 1,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, მათ შორის: 800 ათასი მანეთის შეკერილი ნაწარმი, 40 ათასი მანეთის საფეიქრო გალანტერია, 40 ათასი მანეთის ზედა ტრიკოტაჟი, 10 ათასი მანეთის ავეჯი. შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიიღონ მთელი პროდუქციის მატების 75 პროცენტი. ხარისხის სახელმწიფო ნიშნის მიკუთვნებისათვის მოამზადონ 10 ნაწარმი. აითვისონ 140 სახელწოდების ახალ სახეობათა ნაწარმი.

საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის სამმართველოს ხაზით: რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გაასაღონ 1 მილიონი მანეთის პროდუქცია. თევზჭერის გეგმა შეასრულონ 15 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით დაიჭირონ 2.000 ტონა თევზი. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 50 ათასი პირობითი ქილა თევზის კონსერვი. აითვისონ ახალ სახეობათა თევზის კონსერვის გამომუშავება.

მთავარგაზის კოლექტივი: ბინების გაზიფიკაციის წლიური გეგმა შეასრულოს 103 პროცენტით, მათ შორის სოფლად — 105 პროცენტით. გაზსადენების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა შეასრულოს 108 პროცენტით. სიღნაღ-ლაგოდეხის გაზსადენი, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია დამთავრდეს 1975 წელს, საექსპლოატაციოდ გადასცეს ვადამდე, 1974 წლის 7 ნოემბრისათვის. ქალაქი ლაგოდეხი მოამზადოს ბუნებრივი გაზის მისაღებად.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი

ოთხშაბათი,

20 თებერვალი, 1974 წ.

სოფლის მეურნეობა

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საფუძველზე მიჰყიდონ სახელმწიფოს: მარცვლეული — 140 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული 102 ათასი ტონის ნაცვლად, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი—290 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 285 ათასი ტონის ნაცვლად, ყურძენი—355 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 350 ათასი ტონის ნაცვლად, ხილი — 230 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 225 ათასი ტონის ნაცვლად, ციტრუსები — 55 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 45,2 ათასი ტონის ნაცვლად, შაქრის ჭარხალი — 115 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 105 ათასი ტონის ნაცვლად, მზესუმზირა — 12 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 10 ათასი ტონის ნაცვლად, ხორცი — 98 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 95 ათასი ტონის ნაცვლად, რძე — 195 ათასი ტონა გეგმით გათვალისწინებული 193 ათასი ტონის ნაცვლად, კვერცხი — 280 მილიონი ცალი გეგმით გათვალისწინებული 270 მილიონი ცალის ნაცვლად.

მთლიანად უზრუნველყონ საზოგადოებრივი მეცხოველეობა ყველა სახეობის საკვებით 1974-1975 წლების ზამთრის პერიოდისათვის, მათ შორის დაამზადონ 200 ათასი ტონა სენაჟი გეგმით გათვალისწინებული 100 ათასი ტონის ნაცვლად.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი უთუოდ შეასრულონ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის, კარტოფილის, თამბაქოს, დაფნის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმები.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკებმა: 25 დეკემბრისათვის შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა და სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმები; საექსპლოატაციოდ გადასცენ 17 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი ფართობები და 8 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწები, მოახდინონ სარწყავი სისტემის რეკონსტრუქცია 4,4 ათას ჰექტარ ფართობზე, უზრუნველყონ 6,8 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მელიორატორებმა გადაწყვიტეს გეგმის გადაჭარბებით ამოაშრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ კოლხეთის დაბლობზე 500 ჰექტარი მიწა და ვადამდე, მესამე კვარტალში, დაამთავრონ სარწყავი სისტემის აგება 1500 ჰექტარ ფართობზე.

სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა ვალდებულება იკისრეს 23 დეკემბრისათვის შეასრულონ საერთო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა, გეგმის გადაჭარბებით დაამზადონ 240 ათასი მანეთის ნაწარმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა: კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტრაქტორების შეკეთება დაამთავრონ 15 მარტისათვის, სამარცვლე კომბაინებისა კი 15 მაისისათვის, გეგმის გადაჭარბებით შეაკეთონ 120 ტრაქტორი, ტრაქტორებისა და ავტომობილების 150 ძრავი, ტექნიკურად მოემსახურონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა ჩაის საკრეფ მანქანას, მათი შეკეთება დაამთავრონ 15 აპრილისათვის. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მანქანა-ტრაქტორთა პარკის, ტრაქტორების, მარცვალასაღები და ჩაისაკრეფი მანქანების ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი გაზარდონ 0,9-მდე.

გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 500 ათასი მანეთის მექანიზებული სამუშაოები, მათი თვითღირებულების შემცირების გზით დაზოგონ სულ ცოტა 40 ათასი მანეთი. პირობითი ტრაქტორის გამომუშავება გაადიდონ 3 პროცენტით; გეგმის გადაჭარბებით შეასრულონ 100 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაკებმა: 1973 წელთან შედარებით სატყეო მეურნეობების წარმოებაში საგეგმო შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 1 პროცენტით, სამრეწველო წარმოებაში — 2 პროცენტით, სამრეწველო ნაწარმის რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე სამშობლოს მისცენ 150 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე მიიღონ 100 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ტყის აღსადგენ სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის. მერქნიანი ჯიშის ნერგების გამოსავლიანობა 1973 წელთან შედარებით გაადიდონ 2 პროცენტით. განახორციელონ ტყის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ დამზადების სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა: ფქვილის წარმოების წლიური გეგმა შეასრულონ 26 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით გამოიმუშაონ 10 ათასი ტონა ხარისხოვანი ფქვილი. კომბინირებული საკვების წარმოების წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის და გეგმის ზევით წლის ბოლომდე გამოუშვან 20 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, მათ შორის 5 ათასი ტონა გრანულირებული. მექანიზაციის დანერგვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და შრომითი პროცესების ორგანიზაციის სრულყოფის საფუძველზე უზრუნველყონ, რომ 1973 წელს მრეწველობაში მიღწეული დონის შრომის ნაყოფიერება გაზარდონ 3 პროცენტით, ხოლო სარეალიზაციო ბაზებსა და პურის მიღებ პუნქტებში — 2 პროცენტით. პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით მიიღონ 300 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მშენებლობა

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მრეწველობის სამინისტროს მუშაკებმა: კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენების, მშენებლობის ვადების შემცირების, ობიექტების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემის, დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობათა შემცირებისა და ასამოქმედებელ მშენებლობებზე რესურსების კონცენტრაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მოწინავე მეთოდებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირების, მანქანებისა და მექანიზმების უფრო სრულად გამოყენების საფუძველზე საოჯახო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, საბინაო მშენებლობის წლიური პროგრამა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ამასთან მიაღწიონ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის კვარტალური გეგმების შესაბამის რიტმულ შესრულებას, უზრუნველყონ, რომ სამინისტროს სამრეწველო საწარმოებმა საქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის.

შეასრულონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობისა და დადგენილ ვადაზე ერთი თვით ადრე მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმა, სასკოლო შენობები ჩააბარონ ვადამდე, 1 აგვისტომდე. უზრუნველყონ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემა.

უზრუნველყონ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული ობიექტების — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატისა და ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლობის წლიური გეგმის ვადამდე — 25 დეკემბრისათვის შესრულება.

შეუნელებელი ყურადღება დაუთმონ მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტების მშენებლობას, ამასთან მრეწველობის ამ დარგების ობიექტების წლიური დავალება შეასრულონ 28 დეკემბრისათვის.

ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ საშენ მასალათა მრეწველობის ასამუშავებელი ობიექტები, ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატის მეორე რიგი — 1 სექტემბრისათვის (დადგენილ ვადაზე ერთი თვით ადრე), ძველი ითხვისის (წელიწადში 75 ათასი ტონა სიმძლავრის) მარგანეცის მაღარო და ჭალების (წელიწადში 200 ათასი ტონა მარგანეცის მადნის სიმძლავრის) მაღარო—10 დეკემბრისათვის.

საკუთარი საწარმოო ბაზების მშენებლობის წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრამდე, ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ სახლსაშენებელი კომბინატი გორში, დრანდის ბეტონ-დუღაბის კვანძი, ზაჰესისა და ბზიფის საწარმოო ბაზები.

იმ ბრიგადების რიცხვი, რომლებიც მუშაობენ ბრიგადული იჯარის მეთოდით, გაზარდონ 80-მდე, სამშენებლო წარმოების ყველა უბანზე ფართოდ გაშალონ ბრძოლა მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის, დაზოგონ 5 პროცენტი ცემენტი, 1,5 პროცენტი ლითონი, 10 პროცენტი ხე-ტყე.

ასამოქმედებელი ობიექტების სულ ცოტა 65 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადასცენ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით, უზრუნველყონ მშენებელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო პირობების შემდგომი გაუმჯობესების დასახულ ღონისძიებათა ვადამდე შესრულება. ადგილების რიცხვი მუშათა სასადილოებში წლის დამლევისათვის გაადიდონ 1200-ით.

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მუშაკებმა: საიჯარო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, ხოლო სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციისა — 28 დეკემბრისათვის. გაზარდონ მოლიახასწყობი მშენებლობის მოცულობა 43 პროცენტით 1973 წელთან შედარებით.

ამოქმედონ შემდეგი ობიექტები: სოფელ გამარჯვების 2 მილიონი ბროილერისათვის გათვალისწინებული სახორცე მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი მეოთხე კვარტალში, დაგეგმილ ვადაზე ერთი წლით ადრე; საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსი 24 ათასი სულისათვის ივნისში — ვადაზე ნახევარი წლით ადრე; ოჩამჩირის მეკვერცხეობის მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკა 200 ათასი მოქცეული ქათმისათვის 7 ნოემბერს, ვადაზე თვენახევრით ადრე; ბოსტნეულ და კარტოფილსაცავი ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლის აღების სეზონისათვის, შესაბამისად 15 დეკემბრისა და 15 ნოემბრისათვის; კრწანისის სასათბურო კომბინატი — დაწესებულ ვადაზე ერთი კვარტალით ადრე; მარნეულის მსხვილი საკედლე ბლოკების ქარხანა — ვადაზე ერთი კვარტალით ადრე.

სკოლების მშენებლობა დაამთავრონ სასწავლო წლის დაწყებამდე. საბინაო მშენებლობის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის და ობიექტების სულ ცოტა 80 პროცენტი საექსპლოატაციოდ გადასცენ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

შეასრულონ შრომის ნაყოფიერების ზრდის წლიური დავალება სულ ცოტა 0,5 პროცენტის გადაჭარბებით. დაზოგონ მატერიალური რესურსები გამოყოფილ ფონდებთან შედარებით: ცემენტი — 2,1 ათასი ტონა, ლითონი — 0,7 ათასი ტონა, ხე-ტყის მასალა — 2,4 ათასი კუბური მეტრი, მინა — 4,1 ათასი კვადრატული მეტრი.

„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მუშაკებმა: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით გაზარდონ 0,1 პროცენტით, ახალი ტექნიკისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით წელიწადში დაზოგონ 655 ათასი მანეთი. აამაღლონ კონტროლი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხისადმი და საექსპლოატაციოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით გადასცენ ობიექტების სულ ცოტა 83 პროცენტი. უზრუნველყონ საკუთარი ბაზის ობიექტების ამოქმედება ვადაზე 10 დღით ადრე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა: შეასრულონ პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა 30 დეკემბრისათვის, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 29 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გამოუშვან 600 ათასი მანეთის პროდუქცია, მათ შორის: ცემენტი — 10 ათასი ტონა, შიფერი — 200 ათასი პირობითი ფილა, ინერტული მასალები — 30 ათასი კუბური მეტრი, 1 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, 1,5 ათასი კვადრატული მეტრი ბუნებრივი ქვის მოსაპირკეთებელი ფილები.

გაუმჯობესონ საშენი მასალებისა და ნაწარმის ხარისხი. ვადამდე გადასცენ საექსპლოატაციოდ წყურგილის 1.320 ათასი კუბური მეტრი სიმძლავრის არამადნეული მასალების მომპოვებელ-გადამამუშავებელი საწარმო, 6 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მუშაკებმა: შეასრულონ სამუშაოთა წლიური გეგმა დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით 27 დეკემბრისათვის, ააშენონ და განაახლონ 120 კილომეტრი საერთო სიგრძის საერთო სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები გეგმით გათვალისწინებული 117 კილომეტრის ნაცვლად. მიაღწიონ გაუმჯობესებულსაფარიანი საავტომობილო გზების ქსელის გადიდებას 8 კილომეტრით გეგმასთან შედარებით. ააშენონ და განაახლონ ყველა საავტომობილო გზებზე გამავალი კაპიტალური ხიდები 1.650 მეტრი საერთო სიგრძისა. საგეგმო 1.508 მეტრის ნაცვლად. მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ არსებული გზების ქსელის მოვლა-პატრონობა.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა: შეასრულონ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა წლიური პროგრამა 28 დეკემბრისათვის. საცხოვრებელი ფონდის კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის. დაწესებული წლიური გეგმის გადამეტებით გადაიყვანონ 700 ათასი ფასიანი მეტრი. გეგმის გადამეტებით გადასცენ 2.470 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი ბინები. დაამთავრონ ქალაქ ზესტაფონში 3,5 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი ქსელის გაყვანის სამუშაოები მესამე კვარტალში, დაწესებულ ვადაზე ერთი კვარტალით ადრე.

ენგურჰესის მშენებლობის ხაზით: შეასრულონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური პროგრამა 22 დეკემბრისათვის, წლის დამლევამდე დამატებით შეასრულონ 900 ათასი მანეთის სამუშაოები, მაღლივ თაღოვან კაშხალში ჩაასხან 300 ათასი კუბური მეტრი ბეტონი — გეგმით გათვალისწინებულზე 20 ათასი კუბური მეტრით მეტი. გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 0,5 პროცენტით გეგმასთან შედარებით. რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღონ 200 ათასი მანეთი ეკონომია, დაზოგონ 100 ათასი მანეთის საშენი მასალები.

„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ხაზით: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა შეასრულონ 10 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით განახორციელონ 1 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საექსპლოატაციოდ გადასცენ 2.450 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, უპირატესი ტემპით ამოქმედონ ტირიფონის საწყავი სისტემა, თბილისის მეტროპოლიტენის მეორე რიგის ობიექტები. ყველა ობიექტი ჩააბარონ მხოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის ხაზით: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 22 დეკემბრისათვის. ვადაზე ერთი წლით ადრე გადასცენ საექსპლოატაციოდ ჯვარი-ხაიშის საავტომობილო გზა, ჯვარი-ხაიშის, წითელწყაროსა-განათლების ელექტროგადამცემი ხაზები, დაბა არანისის სკოლა 940 მოსწავლისათვის და სასმელი წყალი მიაწოდონ სიღნაღის რაიონს. დაზოგონ 300 ტონა ცემენტი, 60 ტონა ლითონი და 150 კუბური მეტრი ხე-ტყე.

ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის ხაზით: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, 0,1 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდონ შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება, ვადამდე — 7 ნოემბრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ ქალაქ ფოთის საზღვაო ვაგზლის შენობა და ვადაზე სამი თვით ადრე — 2.450 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ყველა ობიექტი ჩააბარონ მხოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოთა ხაზით

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ რკინიგზის კოლექტივმა: ვადამდე შეასრულოს ტვირთის გაგზავნის წლიური გეგმა და წლის დამლევამდე დატვირთოს 300 ათასი ტონა ზეგეგმითი სახალხო-სამეურნეო პროდუქცია; აამაღლოს ლოკომოტივების საშუალო-სადღეღამისო მწარმოებლობა ნორმასთან შედარებით 3 ათასი ტონაკილომეტრი ბრუტოთი; 10 მილიონი მგზავრკილომეტრის გადაჭარბებით შეასრულოს მგზავრთა გადაყვანის გეგმა. მოსკოვის რკინიგზის ლიუბლინოს სადგურის მოწინავე მეთოდის დანერგვის გზით ვაგონების მოცდენა შეამციროს 0,5 საათით, წლის განმავლობაში დამატებითი გადაზიდვისათვის გაათავისუფლოს 110 ათასი ვაგონი. ნორმასთან შედარებით 2 პროცენტით შეამციროს ვაგონების სადეპოე რემონტი. ტვირთზიდვის თვითღირებულება საგეგმოსთან შედარებით შეამციროს 1 პროცენტით, მიიღოს სულ ცოტა 500 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. მიაღწიოს მატარებლების წვეზე სულ ცოტა 2 პროცენტი ელექტროენერგიისა და 1 პროცენტი სათბობის ეკონომიას.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მუშაკებმა: ყველა სახეობის ტვირთზიდვის, მგზავრთა გადაყვანისა და სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ 29 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გადაზიდონ სულ ცოტა 500 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მიაღწიონ, რომ ცენტრალიზებული ტვირთზიდვის წილი საერთო მოცულობაში 1974-1975 წლებში შეადგენდეს სულ ცოტა 82 პროცენტს. გაზარდონ მოსახლეობის სატრანსპორტო-საექსპედიციო მომსახურების მოცულობა 1,5-ჯერ 1973 წელს მიღწეულ დონესთან შედარებით. გაუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურება სამგზავრო ტრანსპორტით. გახსნან სულ ცოტა 20 ახალი ავტობუსის მარშრუტი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მუშაკებმა: სატრანსპორტო ავიაციის, რემონტის წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის, ხოლო სახალხო მეურნეობაში ავიაციის გამოყენებისა — 20 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით გადაიყვანონ 4 ათასი მგზავრი, გადაზიდონ 12 ტონა ფოსტა და ტვირთი, მიიღონ დამატებით 80 ათასი მანეთი შემოსავალი. შეამცირონ გადაზიდვის თვითღირებულება 0,5 პროცენტით გეგმასთან შედარებით, ხოლო თვითმფრინავების ტექნიკური მომსახურებისა — 1 პროცენტით. გაზარდონ თვითმფრინავების კომერციული დატვირთვა 1973 წელთან შედარებით 0.5 პროცენტით. გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 0,5 პროცენტით გეგმის გადამეტებით. აითვისონ ტუ-134 თვითმფრინავების ფრენა და ტექნიკური ექსპლოატაცია, გააფართოონ იაკ-40 თვითმფრინავების საჰაერო ხაზების ქსელი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კოლექტივმა: საზღვარგარეთა ტვირთზიდვით მიიღოს გეგმაზე 200 ათასი მანეთით მეტი შემოსავალი. ვადამდე, 27 დეკემბრისათვის შეასრულოს საკაბოტაჟო ნაოსნობით ტვირთზიდვის გეგმა და გეგმის გადამეტებით გადაზიდოს 60 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. სატვირთო ოპერაციების მოცულობა ნავსადგურებში გაზარდოს 60 ათასი ტონით. გეგმის გადამეტებით მიიღოს 530 ათასი მანეთი მოგება.

კავშირგაბმულობის საწარმოთა კოლექტივებმა: ვადამდე შეასრულონ პროდუქციის მოცულობის წლიური გეგმა და გეგმის გადამეტებით მისცენ 200 ათასი მანეთი. გეგმის გადაჭარბებით აამოქმეიონ 3,8 ათასი სატელეგრაფო არხკილომეტრი. გახსნან 35 ახალი კავშირგაბმულობის განყოფილება, დანერგონ საოოსტო გზავნილებათა მოტორიზებული მიტანა 100 უბანში. გადაჭარბებით შეასრულონ „სოიუზპეჩატის“ საქონელბრუნვის გეგმა 500 ათასი მანეთის მოცულობით. გეგმის გადამეტებით დაღგან 1.000 ტელეფონი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში და 400 ტელეფონი სოფლის სატელეფონო ქსელში. გეგმის გადაჭარბებით დააყენონ 2 ათასი რადიოწერტილი. გაზარდონ საქალაქთაშორისო არხები, რომლებიც აღჭურვილი იქნება ნახევრადავტომატური კავშირგაბმულობის აპარატურით. დააყენონ ტელევიზიის 10 ავტომატური მიკროორეტრანსლატორი, ააშენონ ექსპლოატაციის ძალებით გორ-ხაშურ-ბორჯომ-ახალციხის რადიოსარელეო ხაზი.

თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივმა: მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შეასრულოს 30 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გადაიყვანოს 500 ათასი

(დასასრული მე-3 გვერდზე).

სოციალისტური ვალდებულებანი 1974 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

(დასასრული)

შგზავრი, მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება შეამციროს 2,5 პროცენტით. წლის მანძილზე დაზოგოს 500 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გეგმასთან შედარებით აამაღლოს შრომის ნაყოფიერება 3,2 პროცენტით.

საფინანსო ორგანოები

ნ ახელმწიფო ვაჭრობის მუშაკებმა: საცალო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიჰყიდონ 5,5 მილიონი მანეთის საქონელი. საზოგადოებრივი კვების სფეროში საკუთარი პროდუქციის გამოშვების გეგმას გადააჭარბონ 360 ათასი მანეთით და უზრუნველყონ ზრდა 10,4 პროცენტით 1973 წელთან შედარებით. მიიღონ ზეგეგმითი მოგება — 750 ათასი მანეთი. გეგმის გადაჭარბებით გადასცენ საექსპლოატაციოდ 12 თვითმომსახურების მაღაზია და მათი ხვედრითი წონა სახელმწიფო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში აიყვანონ 37,5 პროცენტამდე დავალებით გათვალისწინებული 35 პროცენტის ნაცვლად.

საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარების გეგმა შეასრულონ 500 ადგილის გადაჭარბებით. დავალების გადამეტებით გახსნან 4 თვითმომსახურების სასადილო, 2 სპეციალიზებული სასაუზმე. მოაწყონ საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატების, კულინარული და საკონდიტრო ნაწარმის სულ ცოტა 12 ათასი გამოფენა-გაყიდვა, განსაკუთრებით სასადილოებში, რომლებიც სამრეწველო საწარმოებს ემსახურებიან. საზოგადოებრივი კვების ბრუნვაში ხორცის ნახევარფაბრიკატების ხვედრითი წონა გაზარდონ 73 პროცენტამდე, თევზეულისა — 47 პროცენტამდე და გათლილი კარტოფილისა — 25 პროცენტამდე. მოამზადონ 10.850 ვაჭრობის მუშაკი, განახორციელონ 25 საჩვენებელი ღონისძიება საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დასანერგავად.

კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმა ვაჭრობის სამინისტროს ხაზით შეასრულონ 28 დეკემბრისათვის, უზრუნველყონ ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატის 23,6 ათასი ტონა ტევადობის პირველი რიგის ამოქმედება 1 სექტემბრისათვის და გორის 10 ათასი ტონა ერთდროული ტევადობის მაცივარისა — 1 ნოემბრისათვის.

სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა: საცალო საქონელბრუნვის წლიური დავალება შეასრულონ ვადამდე და მოსახლეობას მიჰყიდონ 3 მილიონი მანეთის სასურსათო და არასასურსათო საქონელი. საბითუმო ვაჭრობის გეგმა შეასრულონ 1,5 პროცენტის გადაჭარბებით, განახორციელონ ღონისძიებანი სასაქონლო მარაგის ნორმალიზაციისათვის, იბრძოლონ სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვისათვის, თვითმომსახურებაზე გადაიყვანონ 220 სავაჭრო ობიექტი, საზოგადოებრივი კვების გეგმა შეასრულონ 500 ათასი მანეთის გადაჭარბებით, გახსნან 10 სპეციალიზებული კულინარული მაღაზია რაიონულ ცენტრებსა და დაბებში.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა შეასრულონ 8 პროცენტის გადაჭარბებით, გეგმის გადამეტებით დაამზადონ 2 მილიონი კვერცხი, 20 ტონა მატყლი, 5 ათასი ცალი ტყავის ნედლეული, 1.000 ტონა კურკოვანი და 2.000 ტონა თესლოვანი ხილი, მიმოქცევის ხარჯებში დაზოგონ 500 ათასი მანეთი, მიიღონ 1,5 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებმა: მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმა შეასრულონ 30 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით მოსახლეობას გაუწიონ 300 ათასი მანეთის მომსახურება. დადგენილ დავალებასთან შედარებით 0,5 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება. განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითღირებულების შეფარდებით ეკონომიას 1,5 პროცენტით და 100.000 მანეთი ზეგეგმითი მოგების მიღებას.

უზრუნველყონ 25 დეკემბრისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულება და გეგმის გადამეტებით აიგონ საყოფაცხოვრებო მომსახურების 5 ობიექტი. სოფლად ვადამდე, 1 დეკემბრისათვის გადასცენ საექსპლოატაციოდ 3 ობიექტი. ატელიეებსა და სახელოსნოებში დანერგონ ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის ნაწარმისა და ქუდების ახალი მოდელების 50 ნიმუში. მოაწყონ 5 ფეხსაცმლის სასწრაფო შეკეთების საწარმოს, აგრეთვე ტანსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის ნახევარფაბრიკატების სარეალიზაციო 25 სალონის კომპლექსური მექანიზაცია. ძირეულად გაუმჯობესონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება, განსაკუთრებით სოფლად. მოაწყონ 25 სოფლსაბჭოში კომპლექსური მიმღები პუნქტები.

სამეცნიერო საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლებლები

ს აქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა თავიანთ მუშაობაში მთავარ მიმართულებად დაისახეს განახორციელონ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა და ნამუშევრები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და წარმოებასთან მეცნიერების კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულებისა და წარმოებაში მათი დანერგვის ვადების შემცირებას.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაკები კისრულობენ ვალდებულებას ვადამდე დაამთავრონ 50 თემის სამუშაოთა მოცულობის წლიური გეგმის შესრულება და გეგმის გადამეტებით დაიწყონ 20 ახალი, უპირატესად გამოყენებითი მნიშვნელობის თემის დამუშავება, გაუმჯობესონ მეცნიერული მუშაობის კოორდინაცია, მთავარი ყურადღება დაუთმონ უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ-ტექნიკურ პრობლემათა კომპლექსურ გადაწყვეტას. რესპუბლიკის მეცნიერები შეიმუშავებენ მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის დასაჩქარებლად, თეორიულ საფუძვლებს მთელი რიგი პროცესების გასაუმჯობესებლად, მეტალურგიულ წარმოებაში შექმნან და დანერგავენ ახალ მანქანებს, დანადგარებს, ხელსაწყოებს, მასალებს, პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც შეესაბამებიან თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, ტექნიკურ დახმარებას გაუწევენ კომპლექსური მექანიზაციის საშუალებათა შემუშავებაში სპეციალური გვირაბის გასაყვანად ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობაზე, სარაბო ჰიდროსატრანსპორტო დანადგარების დაპროექტებასა და დამონტაჟებაში ენინვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. მოაწყობენ მშენებელ ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას სეისმომედეგი მშენებლობის დარგში. დაამუშავებენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგების გაწლაგებისა და სპეციალიზაციის მოდელირების საკითხებს. შეიმუშავებენ ღონისძიებებს ყინვისაგან ვენახების დასაცავად, რეკომენდაციებს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისათვის საკვები სავარგულების რაციონალური გამოყენების დარგში, დაამზადებენ ბაღ-ვენახების ქლოროზის საწინააღმდეგო პრეპარატებს.

საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები განაგრძობენ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის დამუშავებას, სომხეთისა და აზერბაიჯანის მეცნიერებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით — ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის, სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების ისტორიის დამუშავებას; ფუნდამენტურ გამოკვლევებს განახორციელებენ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის, ისტორიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიის, ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის აქტუალურ პრობლემებზე.

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კოლექტივები ძირეულად გაუმჯობესებენ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადებას, ამასთან გაითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის წამყვანი, აგრეთვე ახალი, პერსპექტიული დარგების უფრო სრულად უზრუნველყოფას, განაგრძობენ მუშაობას უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში ახალგაზრდობის უფრო ღირსეული წარმომადგენლების შერჩევისათვის.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა- და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკები გააუმჯობესებენ მოსწავლეთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობით და სასწავლო მუშაობას, გადაჭრით იბრძოლებენ განთესვის, ორწლიანობის წინააღმდეგ, მკვეთრად აამაღლებენ სწავლების ხარისხს, სისტემატურად შეივსებენ ცოდნას, დახვეწავენ თავიანთ პროფესიულ ოსტატობას, უზრუნველყოფენ საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ ქალიშვილებისა და ჭაბუკების აღზრდას სოციალისტური სამშობლოსადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი უანგარო ერთგულების სულისკვეთებით.

რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკები კისრულობენ, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებენ მშრომელთა სტაციონარულ და კლინიკურ მომსახურებას, დანერგავენ პრაქტიკაში მკურნალობის ახალ, პროგრესულ ფორმებს და მეთოდებს, მკვეთრად აამაღლებენ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და პროფილაქტიკური ღონისძიებების დონეს, უზრუნველყოფენ დიაგნოსტიკის მაღალ ხარისხს.

კულტურის საწარმოები და დაწესებულებანი

რ ესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი ხუთწლედის მეოთხე წელს აღნიშნავენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის შესახებ ახალი მაღალიდეური, მხატვრული ნაწარმოებებით, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კომუნისტური მშენებლობისა და აღზრდის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობების აღზრდის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცების პრობლემებს.

საქართველოს კულტურის შემოქმედებითი კავშირები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები კვლავ დაამყარებენ და განამტკიცებენ ურთიერთობას რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებთან, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებთან, ჯარის ნაწილებთან. ფართო მასშტაბით გაშლიან მხატვრულ-პროპაგანდისტულ მუშაობას. ადგილებზე კვლავაც მოეწყობა ლიტერატურული საღამოები, გასვლითი სპექტაკლები და კონცერტები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები, საბჭოთა მუსიკის ფესტივალები, ახალი ქართული მხატვრული ფილმების ჩვენება და ა. შ. სისტემატურად მოეწყობა შემოქმედებითი კოლექტივების, მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, თეატრისა და კინოს მუშაკთა შეხვედრები ფართო საზოგადოებრიობასთან, ახალი ნაწარმოებების საჯაო განხილვა.

გაგრძელდება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი მივლინებები სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ისეთი ახალი ნაწარმოებების შესაქმნელად, რომლებიც ასახავენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას და ხუთწლედის გადამწყვეტი წლის მოწინავეთა შრომითს გმირობას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო გამართავს თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კონკურსს. რესპუბლიკის თეატრები მაყურებლებს უჩვენებენ 146 სპექტაკლით მეტს და დადგამენ 8 სპექტაკლით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია გამართავს 1000 ზეგეგმით კონცერტს. მიმდინარე წელს გაიხსნება 2 მუზეუმი, 136 ბიბლიოთეკა, 46 კლუბი. სახალხო თეატრები განახორციელებენ 75 ახალ დადგმას, უჩვენებენ სულ ცოტა 600 სპექტაკლს და მოემსახურებიან 100 ათასზე მეტ მშრომელს.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ სახელმწიფო გეგმას შეასრულებს 27 დეკემბრისათვის და გამოუშვებს 7 სრულმეტრაჟიან მხატვრულ, 7 მულტიპლიკაციურ, 5 მხატვრულ სატელევიზიო და 55 ქართულ ენაზე დუბლირებულ სრულმეტრაჟიან ფილმს.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდია 25 დეკემბრისათვის შეასრულებს სახელმწიფო საწარმოო-საფინანსო გეგმას. სახელმწიფო კინოქსელი კინოსაგან მიღებული შემოსავლის გეგმას შეასრულებს 29 დეკემბრისათვის, სოფლის კინოქსელი გაიზრდება ზეგეგმითი 7 კინოდანადგარით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ტურიზმის სამმართველოს მუშაკები დაამთავრებენ საერთო შემოსავლისა და საგალუტო შემოსულობათა წლიურ პროგრამას 20 დეკემბრისათვის.

საგამომცემლო, პოლიგრაფიული და წიგნის ვაჭრობის საწარმოები

რ ესპუბლიკის გამომცემლობანი წიგნის პროდუქციის გეგმას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვებენ 700 ათასი ცალით მეტ პირობით წიგნს, ამასთან უზრუნველყოფენ ლიტერატურის მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეს; საგეგმო ზარალს 5 პროცენტით შეამცირებენ და დაზოგავენ 60 ათას მანეთს.

პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოები პროდუქციის რეალიზაციის გეგმას შეასრულებენ 25 დეკემბრისათვის და წლის დამლევისათვის დამატებით მოახდენენ 100 ათასი მანეთის წიგნისა და სხვა პროდუქციის რეალიზაციას, დიმის ბეჭდვითი სტყვის კომბინატში წლის ბოლომდე გამოვა 200 ათასი მანეთის წიგნის პროდუქცია.

წიგნის ვაჭრობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქწიგნი“ გეგმას ყველა მაჩვენებლის მიხედვით შეასრულებს 25 დეკემბრისათვის და წლის ბოლომდე მოსახლეობას მიჰყიდის 200 ათასი მანეთის წიგნის პროდუქციას.

□ □

რესპუბლიკის მშრომელები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი სამართალდარღვევის, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისაგან გადახვევისა და ადამიანთა შეგნებაში გადმონაშთების წინააღმდეგ. ეს გადაწყვეტილება გამოიხატება ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის თავდადებული შრომით.

საქართველოს მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ მოძმე რესპუბლიკების—აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელებს და დარწმუნებული არიან, რომ ეს შეჯიბრება ხელს შეუწყობს ამიერკავკასიისა და მთელი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

საქართველოს მშრომელები აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს გადააქცევენ ჰეროიზმარიტად დამკვრელური შრომის წლად, ძალღონესა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ დაიშურებენ იმ ნაკლის ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას.

სოციალისტური ვალდებულებანი განხილული და მიღებულია რესპუბლიკის კარტიულ - სამეურნეო აქტივის კრებაზე 1973 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამაჯანსაღებელ მონაწილეობით.

ძმობისა და მეგობრობის დროშით

(დასასრული).

შემდეგ ამხ. ძოწენიძემ ილაპარაკა ავტონომიური ოლქის მრეწველობის განვითარების ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებზე, კერძოდ, იმაზე, რომ საჭიროა უახლოეს დროში შემუშავდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გეგმების უფრო შესრულებას როგორც მოცულობის, ისე ასორტიმენტის მიხედვით. ხელს შეუწყობენ იმას, რომ გამოდიოდეს მხოლოდ კარგი ხარისხის პროდუქცია.

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის და 1974-1975 წლების დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის მშრომელთა ძალების დასარაზმავად ორგანიზატორულ მუშაობაში, თქვა ამხ. ძოწენიძემ, პირველ რიგში იმის იმედი უნდა ვიქნიოთ, რომ სრულად და რაციონალურად გამოვიყენოთ შრომის ნაყოფიერების ზრდის შინაგანი რეზერვები, უფრო სრულად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. უნდა გავზარდოთ ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკებისადმი მომთხოვნელობა, აუმაღლოთ მათი საქმიანი კვალიფიკაცია და პოლიტიკური სიმწიფე, მათი უნარი ეფექტიანად მართონ სამრეწველო წარმოება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობამ. კოლექტივიზაცია და სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის დამკვიდრება სამხრეთ ოსეთის სოფელში გადატრიალება იყო სოფლის მეურნეობაში. ერთნახევარჯერ გაიზარდა სახნავი მიწების ფართობი, შეუდარებლად გადიდდა მოსავლიანობა, გუთნის, ხის კავის, კევრისა და ბაწვევი ძალის ნაცვლად სოფლის მეურნეობა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკით — ტრაქტორებთა და კომბაინებით, მარცვალსაწმენდი და სათესი მანქანებით, სატვირთო ავტომობილებით და ა. შ. განვითარდა ისეთი დარგები, როგორიც არის მებაღეობა, მევენახეობა, მემინდვრეობა, მეპარხლეობა, მეცხოველეობა.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მთელი რიგი კოლმეურნეობების გამეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექციების ყოველდღიური უნარიანი მუშაობის შედეგად, სოფლის, ოლქის მშრომელებმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მოიპოვეს ერთგვარი წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. ოლქის ადმინისტრაციამ მეურნეობებმა მიწის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ეფექტიანი გამოყენების, შრომის რაციონალური ორგანიზაციის, აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად მოწყობისა და კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების ამაღლების მეთხზიით ერთგვარი წარმატებები მოიპოვეს.

შემდეგ ორატორი შეეხო სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოუყენებელი რეზერვებს, იმას, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე დაძლიონ ზოგიერთ დარგში წინა წლების მანძილზე დაშვებული სერიოზული ჩამორჩენა. ოლქის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი დიდი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად იქნება დამოკიდებული წარმოების ხელმძღვანელობისათვის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებაზე, 1974 წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებისათვის სოფლის ყველა მშრომელის მობილიზაციაზე.

ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთში ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრენი, ელექტროგადამცემი ხაზები, სკოლები, საბავშვო ბაღები, საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მინერალური სასუქების საწყობები, ჯიმოსანაშენო მეცხოველეობის სადგურების კომპლექსი, დაიწყო ისეთი დიდი ობიექტების მშენებლობა, როგორიც არის მეფრინველეობის ფაბრიკა, ვარიან-ცხინვალის წყალსადენი, 35 მილიონი კუბური მეტრი ტევადობის წყალსაცავი. წლის განმავლობაში უნდა დამთავრდეს სომატური საავადმყოფოს და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი სხვა ობიექტის მშენებლობა. მეცხრე ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ დიდდება კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების მოცულობა, სამშენებლო სამუშაოთა ასეთი ფართო გაქანების პირობებში საოლქო პარტიული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა მთელი გამოყოფილი სახსრებისა და მატერიალური რესურსების დროული და სრული ათვისება. მაგრამ, თქვა ამხ. ძოწენიძემ, ამ დარგშიც სამხრეთ ოსეთში არის მთელი რიგი გადაუწყვეტელი ამოცანები. იგი გამოთქვამს იმედს, რომ მშენებლები წელს ყოველ ღონეს იხმარენ კაპიტალური მშენებლობის გეგმების უთუოდ შესრულებისათვის.

რესპუბლიკის ახალი, საბჭოთა კულტურის განვითარებაში თავისი წილიები შეაქვს სამხრეთ ოსეთის მშრომელ ინტელიგენციას. ოლქში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მოსახლეობის მხოლოდ ხუთი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აშენდა ასობით სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, თეატრი, კლუბები, ბიბლიოთეკები, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ოსი ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საკუთარი დამწერლობის შექმნა. მოკლე დროში აქ აღიზარდა მწერალთა და პოეტთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, მსახიობთა შესანიშნავი პლეადა. ეჭვი არ არის, თქვა ორატორმა, რომ სამხრეთ ოსეთის ინტელიგენცია, საქართველოს ინტელიგენციასთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს ჩვენი ხალხის წინაშე ხუთწლედის დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

შემდეგ ამხ. ძოწენიძემ თქვა:

უკვე დაიწყო ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი. ახალი შრომითი წლის დადგომა აღინიშნა ისეთი თვალსაჩინო მოვლენით ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში, როგორიც არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმზე დასახულია ჩვენის ეკონომიკის განვითარების, 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის კომუნისტთა, კომკავშირელთა, ყველა მშრომელის დარაზმვის ახალი დიდი ამოცანები.

ეკონომიკის შემდგომი განვითარების მძლავრი ბერკეტია მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი 1974 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ხელს შეუწყობენ მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის ზრდას ბრძოლაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ამას წინათ მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი ზრდის პერსპექტივებს სახავს.

საქართველოს მშრომელთა წინაშე ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანები. მიმდინარე წლის გეგმები მიტად დაძაბული და პასუხსაგებია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, თქვა ამხ. ძოწენიძემ, გამოთქვამს რწმენას, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელნი, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას საშობლოს წინაშე და ჩადგებიან შეჯიბრების მონაწილეთა მოწინავე რიგებში.

ამხ. ძოწენიძემ წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ და შეკრებილთა ტაშის გრიალში მიაბნია ორდენი ოლქის დროშას.

შემდეგ მან ერთხელ კიდევ მხურვალედ მიულოცა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, მშრომელ ინტელიგენციას, კომუნისტებსა და კომკავშირელებს, ომისა და შრომის ვეტერანებს, სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მაღალი ჯილდო.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი შ. ს. სანსარო�i. ჩვენი გული, თქვა ორატორმა, აღსავსეა უდიდესი სიხარულით იმის გამო, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დროშაზე ლენინის ორდენის გვერდით ამიერიდან იკიაფებს კიდევ ერთი მაღალი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელიც ეს-ეს არის გადმოგვცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. ეს დიდი პატივია სამხრეთ ოსეთის თვითეული მშრომელისათვის, თვითეული მცხოვრებისათვის.

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს სახელით, საზეიმო სხდომის ყველა მონაწილისა და ოლქის ყველა მშრომელის სახელით ამხ. სანაკოევი გულითადად და უდიდეს მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას სამშობლოს მაღალი და საპატიო ჯილდოსათვის. იგი აგრეთვე გულწრფელ მადლობას უხდის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და რესპუბლიკის მთავრობას, რომლებმაც გულითადად მიულოცეს სამხრეთ ოსეთის მშრომელებს მთავრობის მაღალი ჯილდო.

დღეს, ხალხთა მეგობრობის ორდენის მიღების დღეს, თქვა ამხ. სანაკოევმა, დიდი მამაშვილური მადლიერების სიტყვებით მიემართავთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რომლის სახელთანაც განუყრელად არის დაკავშირებული სსრ კავშირში ერთგული საკითხის გადაჭრა.

დღეს ჩვენ, განაგრძო ორატორმა, დიდ მადლობას ვუძღვნით მოძმე ქართველ ხალხს, რომელთანაც ერთად სამხრეთ ოსეთის მშრომელი ხალხი რევოლუციური ბრძოლების ქარცეცხლში იბრძოდა თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, საერთო მტრების წინააღმდეგ. დიდ რუსულ ხალხთან ერთად, სხვა ეროვნებების პროლეტარებთან ერთად ლენინური გზით მიდიოდა ოსი ხალხიც.

ამხ. სანაკოევმა ილაპარაკა იმ უდიდეს გარდაქმნებზე, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

ჩვენს ქვეყანაში ყოველი ჯილდო, თქვა შემდეგ ამხ. სანაკოევმა, — ეს მარტო დამსახურების აღიარება როდია, ეს არის მომავლისათვის ნდობაც. გაამართლო ესოდენ მაღალი ნდობა — ეს ნიშნავს ამრავლო მეცადინეობა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. ეს ჯილდო გვავალებს დაძაბულად, მიზანსწრაფულად ვიმუშაოთ ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, კიდევ უფრო მტკიცედ გარდავქმნათ შუამაა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ავიყვანოთ იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებსაც ამჟამად გვიყენებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. სამხრეთ ოსეთის მშრომელები მთლიანად და სავსებით მხარს უჭერენ და სულითა და გულით მიესალმებიან ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ნეკატური მოვლენების ლიკვიდაციისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ მტკიცე ლენინურ კურსს.

მშობლიური პარტიის ზრუნვის პასუხად, თქვა ამხ. სანაკოევმა, სამშობლოს მაღალი ჯილდოს პასუხად მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელები კვლავაც მთელ თავიანთ ენერგიას მოახმარენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებას. ვიცხოვრებთ და ვიმშრომებთ ისე, რომ გვამართლოთ ეს დიდი ნდობა.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმა რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციის ხელმძღვანელი — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. თ. ლობჟანიძე.

ცხინვალის ქარხანა „იმერლსადენის“ მუშამ მ. ბ. ლალიევმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორმა ს. შ. ბაბაროვმა, ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. რ. მაისურაძემ, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. ს. ბაბაევმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას აუწყეს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელები დაუფიქრებლად — და გამამტკიცებენ საბჭოთა ხალხების დიად მეგობრობას, თავდადებული შრომით ამრავლებენ სამშობლოს სიმდიდრეს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსადმი.

„კომუნისტი“
მე-3 გვერდი, ოთხშაბათი,
20 თებერვალი, 1974 წ.

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით 1973 წელს საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამის შესასრულებლად გაწეული დიდი მუშაობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ბარამიძე გიორგი პუსეინის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სამრეწველო საწარმოთა კომბინატის № 5 ტრესტის შეარმატურეთა ბრიგადირი.

ბილისელიანი ამირან ვასილის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 9 სამმართველოს ქვის ძოლელი.

ბერიანიძე თამაზ იოსების-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 კოლონის ელექტრო-მემონტაჟე.

ბლიაძე ვაჟა გიორგის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენი“ ტრესტის № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მშენებელი-ოსტატი.

გოგიაშვილი რამაზ ვალერიანის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

დარჩიაშვილი ოთარ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 4 კოლონის მებეტონე.

დასხენდარიძე არდალიონ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი.

დოლმაძე გიზო ივსეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 44 კოლონის მებეტონე.

ებრალიძე თამაზ ივანეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

თადუმაძე ეორა მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ ძეძებლობის საინფორმაციო № 11 ტრესტის № 1 სამძებრავლოს ოსტატი.

თევზაძე პეტრე იონას-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოო სამმართველოს უფროსი.

ოსელიანი ალექსანდრე ვასილის-ძე — აშიერკაკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 315 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის-სამუშაოთა მწარმოებელი.

იაკობაშვილი ედუარდ მოსეს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მმართველი.

კუპრეიშვილი გიორგი ირაკლის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მმართველი.

ზარიძე ვასილ ალექსის-ძე — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ქვის მთელელი.

ლანჩავა დავით გიორგის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის № 4 სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ლიპარტელიანი ივანე თეიმურაზის-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 22 კოლონის ქვის მთელელი.

მიქაძე პარმენ-პარმენის-ძე — საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

ნაკაშიძე რიზა ბაკურის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის მერმატურეთა ბრიგადირი.

სირაძე ჯანიკო რუბენის-ძე — „თბილის გვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხეროთა ბრიგადირი.

ურჯუკაშვილი გურამ ღვთისოს-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ტრანსმშენის“ ტრესტის თბილისის ავტობაზის მძღოლი.

ღოღობერიძე ვლადიმერ მიხეილის-ძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მთავარი ინჟენერი.

შოთლაშვილი როდამეს მიხეილის-ძე — „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის სახელოსნოს მთავარი კონსტრუქტორი.

ჩეხაშვილი მარიამ იოსების ასული — საქართველოს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის პროექტის მთავარი ინჟინერი.

ხაჩიძე ზაურ სიმონის-ძე — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის ბრიგადირი.

ჯავახიძე ცეზარ სერგის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 15 ტრესტის მსხვილპანელიანი სახლთსამშენებლო ქარხნის ბრიგადირი.

ჯობავა დავით გაბრიელის-ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

სპპატიო წოდებების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებით 1973 წელს საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამის შესასრულებლად გაწეული დიდი მუშაობისა და მოპოვებული წარმატებებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

აბესაძეს მამია აბიბოს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლთსამშენებლო კომბინატის უფროსს.

ალფაიძეს ალექსანდრე ვლადიმერის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მთავარ ინჟენერს.

კაკაურიძეს ირაკლი გრიგოლის-ძეს — „საქმთავარმონტაჟსპეციალმენის“ მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

კუბავას ოთარ გრიგოლის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 16 ტრესტის მმართველს.

ლაპარტყავას ამირან სერგის-ძეს — საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარ ინჟენერს.

ოდიშარიას ბორის ხარიტონის-ძეს „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის სახელოსნოს უფროსის მოადგილეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:

ასპანიძეს გიორგი პავლეს-ძეს — „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის სამოქალაქო-სანაფაო მშენებლობის სამმართველოს მებეტონეს.

ბატმანოვს კონსტანტინე ივანეს-ძეს — „საქმეენერომონტაჟის“ ტრესტის უბნის უფროსს.

გეფიას კარლო აკაკის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის ელექტრომემონტაჟეს.

დათიშვილს ავთანდილ ფირუზის-ძეს — „თბილის გვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მეარმატურეს.

ვორონოვს პეტრე ვასილის-ძეს — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 133 სამმართველოს მებათქაშეს.

თვაურს ნიკოლოზ ყარამანის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 10 ტრესტის № 7 სამმართველოს ოცბათქაშეს.

თბინვალელს შალვა იოსების-ძეს — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 22 სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-აირაციკოცეველს.

კორიუთელს ხარიტონ გიორგის-ძეს — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის ელექტროშემდუღებელს.

კოროლიოვს კირილე მიტროფანეს-ძეს — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის ზეინკალთა ბრიგადარს.

კუდუხაშვილს რევაზ კონსტანტინეს-ძეს — „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის სამოქალაქო მშენებლობის სამმართველოს ხუროს.

მექვაბიძეს გიორგი პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის № 10 კოლონის უფროს საძუშაოთა მწარმოებელს.

მერაბიანს სტეფანე აკოფის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მექანიკური სახელოსნოს ოსტატს.

მირგათიას სიმონ მათეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის № 12 კოლონის ხუროს.

მახარაძეს სერგი გენადის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 22 კოლონის ქვის მთელელს.

ნემსაძეს გივი კალისტრატეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის რკინა-ბეტონის ნაწარმთა კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირს.

პოზუშკოს ბორის სერგის-ძეს — „საქელექტრომონტაჟის“ ტრესტის თბილისის № 2 სამმართველოს უბნის უფროსს.

საჯაიას დიმიტრი დიმიტრის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის სახლთმშენებელი კომბინატის ოსტატს.

სამსონიძეს იასონ მათეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის № 2 სამმართველოს ხუროს.

სანებლიძეს ბიჭიკო გიორგის-ძეს — „საქსანტექმონტაჟის“ ტრესტის ქუთაისის სამონტაჟო სამმართველოს აირშემდუღებელს.

სპირინს ვალენტინ კონსტანტინეს-ძეს — № 22 სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-სანტექმიკოსს.

ქიტესაშვილს იოსებ ივანეს-ძეს — „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის სამოქალაქო სანაფაო მშენებლობის სამმართველოს მებეტონეს.

ქურციკიძეს გალაქტიონ ფარნაოზის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ჭიათურამშენის“ № 8 ტრესტის სამმართველოს ხუროს.

შენგელიას დავით კონსტანტინეს-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის № 25 კოლონის მღებავს.

ჩარგეიშვილს შალვა სიმონის-ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის № 1 ტრესტის № 27 კოლონის ხუროს.

ჩუბინიძეს რეზო ვასილის-ძეს — „მძიმეწყვავმორმონტაჟის“ სამმართველოს № 2 უბნის მემონტაჟეს.

ხაბაძეს სულიმან ალის-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 5 ტრესტის მოსაპირკეთებელი სამუშაოთა სამმართველოს მებათქაშეს.

ხერხეულს გრიგოლ გეგელენის-ძეს — ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ სამოქალაქო სანაფაო მშენებლობის სამმართველოს ხუროს.

საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკისა:

კირაკოსიანს მიხეილ გარეგინეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ტრანსმშენის“ ტრესტის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

მატვეევს ვასილ პეტრეს-ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ტრანსმშენის“ ტრესტის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

ოშაყმაშვილს ზურაბ იასონის-ძეს — ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის № 131 სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

საქართველოს ეთა-ბარეში

რუსთავი — ჟუბკა

აი ეს არის მეგობრობა

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში რუსთაველმა მილკგლინავებმა თავიანთი პოდუქციის მორიგი პარტია გაუგზავნეს კუბელ მეგობრებს. ვაგონს, რომლითაც რუსთაველთა ნახელავი გაიგზავნა, მეტალურგებმა ასეთი წარწერები გაუკეთეს: „გაუძარჯოს თავისუფლების კუნძულის მშრომელებს!“, „გაუძარჯოს საბჭოთა და კუბელი ხალხების მეგობრობას!“...

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ქართველ მეტალურგებს კუბელ კოლეგებთან. თავიანთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა რომ დაიწყეს და მეტალურგიის განვითარება გადაწყვიტეს, კუბელებმა რუსთავში სასწავლებლად ახალგაზრდათა დიდი ჯგუფი მიავლინეს. № 3 პროფტექნიკურ სასწავლებელში ორ წელიწადს სწავლობდა 100-ზე მეტი კუბელი. ქართველმა სპეციალისტებმა ყველაფერი იღონეს, რათა თავისუფლების კუნძულიდან ჩამოსულთათვის გადაეცათ თავიანთი ცოდნა, მდიდარი საწარმოო გამოცდილება, შეესწავლებინათ მათთვის მეფოლადის, მებრძმედის, მილმგლინავისა და სხვა პროფესიები.

მეგობრო და ურღვევი მეგობრობა აქვთ ერთმანეთთან რუსთაველ ამწე-მძენებლებს და მათს კუბელ თანამოსაქმეებს.

შარშან ამწესამშენებლო ქარხანაში გამოცდილების გაზიარების მიზნით რამდენიმე კუბელი სპეციალისტი ჩამოვიდა. ამჟამად კი კუბაში იმყოფებიან ქარხნის მთავარი მექანიკოსი რ. მეხრიშვილი და ელექტრიკოსი ალ. მაისურაძე. კუბელთა მიწვევით ჩასული ეს ქართველი სპეციალისტები ეხმარებიან მასპინძლებს ხაბეჭური მანქანების ათვისებაში.

იცავენ, უვლიან ბუნებას

ფალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას 46.140 ჰექტარი სანადირო სავარაუდო აქვს. ამ ფართობზე შექმნილია „წყავაშის“ სანჭეებელი სანადირო მეურნეობა 18.500 ჰექტარზე, სადაც მომრავლდა გარეული ღორი, კურდღელი, ხოხობი, კაკაბი, დათვი, ჯიხვი, არჩეი, კვერნა, შურთხი, როჭო და სხვა ნადირ-ფრინველი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ რეკომენდებულია რესპუბლიკაში პირველად ციმბირული შელის აკლიმატიზაცია, აგრეთვე კავკასიური ირმის რეაკლიმატიზაცია, რომელიც აქ წინათაც ყოფილა.

მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოებას 1300-მდე წევრი ჰყავს. მათ შორის ბევრი სახელგანთქმული მონადირეა. ჯგალელი ისაკი ბელქანია 85 წლის არის მიღწეული, მაგრამ მიუხედავად ხანდაზმულობისა, რაიონში პირველ მონადირედ ითვლება.

აღსანიშნავია, რომ რაიონულმა საზოგადოებამ 1969, 1970 და 1971 წლებში რესპუბლიკაში ზედიზედ დაიკავა პირველი ადგილი და მოდმივად მოიპოვა მონკავშირის პრეზიდიუმის გარდამავალი წოფელი დროშა.

საზოგადოებას აქვს თევზის საბტორე მეურნეობა 4 ჰექტარზე. მესამე წელია იგი ექსპლოატაციაშია და იძლევა სასაქონლო თევზს. შარშან, მაგალითად, რაიონის მოსახლეობას მიეყიდა 4 ტონა ცოცხალი თევზი. წელს კი საზოგადოებას დაგეგმილი აქვს მოსახლეობას მიაყიდოს 20 ტონაზე მეტი ცოცხალი თევზი.

ამინდი

დღეს, 20 თებერვალს, დასავლეთ საქართველოში მოხალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, რაიონის ხეობაში იქროლებს ნაში 7-12 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 7-12, მთაში 1-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოღრუბლული ამინდი იქნება, მცირე ნალექი უმთავრესად აღმოსავლეთ რაიონებში, ზოგან ნისლი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 3-8 გრადუსი სითბო, მთაში 2 გრადუსი ყინვა-3 გრადუსი სითბო.

თბილისში მოღრუბლული ამინდი, მოსალოდნელი, მცირე ნალექი, ნისლი, ტემპერატურა 6-8 გრადუსი სითბო.



ეროსწავლეები სწავლობენ ავტომანქანას



აქ ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ავტოსკოლაში: სასწავლო ავტომობილები, კაბინეტი, სადაც არის სხვადასხვა დეტალი, მოქმედი შუქნიშნები, პლაკატები — ქუჩაში მოძრაობის წესებით და სხვა მოწყობილობა.

თბილისის 66-ე სკოლის ავტოკაბინეტში, რომელიც უფროსი კლასების მოსწავლეებმა გამოცდილი მასწავლებლის, საზოგადოებრივი ავტოინსპექტორების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ინჟენერ-ავტომობილისტის ს. ნარჩისიანის ხელმძღვანელობით მოაწყეს, მოსწავლეები დიდი ხალისით მოდიან ხოლმე. აქ ხომ ნამდვილ მძღოლად შეიძლება გახდომა. სკოლამ რამდენიმე წლის განმავლობაში მესამე კლასის 500 მძღოლი გამოუშვა.

ჯერჯერობით კი ავტოკაბინეტში მორიგი მეცადინეობა მიმდინარეობს. პიონერები ხელმძღვანელებთან ერთად იმიტირებულ გზაჯვარედინზე კონკრეტულ სიტუაციას აზუსტებენ. (სურათი ზემოთ); ნორჩი ხაზოგადოებრივი ავტოინსპექტორები ირა სეფერთელაძე, ირაკლი კარსიმაშვილი და დორა ხატიაშვილი ქუჩაში მოძრაობის წესების მცოდნეები არიან (შუაში), ისევე, როგორც მათი ამხანაგები — უფროსკლასელები, რომლებსაც მასწავლებელთან გოდერძი იორდანიშვილთან ერთად სკოლის „მოსკვიჩ-412“-ის ძრავი წესრიგში მოაყავთ. (სურათი ქვემოთ).

ვ. მორგუნოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჭადრაკი

სამიდან სამი!

ნანა ალექსანდრიას გრფუინვალე სტარტი

კისლოვოდსკი. 19 თებერვალი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ. გ. მაკავარიანი). კონსოლიდაციალექსანდრიას პარტიაში, სადაც ინგლისური დაწყება გათამაშდა, შავებმა პაიკი შესთავაზეს მეტოქეს, რაც თეორებმა უარყვეს. ალექსანდრიამ თავის ფიგურებს ცენტრში მოუყარა თავი და წამოიწყო აქტიური ოპერაციები. კონოპლიოვა თავს შეუპოვრად იცავდა.. პარტიის დასკვნითს ნაწილში ალექსანდრიამ ლაზიერი შესწირა მეტოქეს ეტლში, რის შემდეგ შავების პაიკის გახვლა ახალ ლაზიერად გარდუვალი იყო. კონოპლიოვამ მესამე გამარჯვება მიუოცა ალექსანდრიას.

შულმა და ლევიტინამ გართულებებს თავი აარიდეს და მალე ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი ტურის შემდეგ ალექსანდრიას აქვს 3 ქულა, შულს — 1,5, ლევიტინას — 1, კონოპლიოვას — ნახევარი. 20 თებერვალს მეოთხე ტურში ალექსანდრია თეთრებით ხვდება ლევიტინას.

მოსკოვი ღირსია ოლიმპიადის

— თუ მოსკოვი ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზატორი გახდა, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მას მაღალ დონეზე მოაწყობს, — უთხრა საკვლისს კორესპონდენტს მსოფლიოს ჩემპიონმა ფარიკაობაში იტალიელმა ალდო მონტანომ.

მონტანარის აზრს იზიარებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი იტალიელი მიქელე მაფეი. მისი აზრით, სსრ კავშირის დედაქალაქი ღირსია გადდეს ოლიმპიური დედაქალაქი. ფარიკაობა ერთი იმ სახეობათაგანია, სადაც სპორტსმენები გამოდიან ათეული წლების მანძილზე. ორთავე იტალიელი ერთსულოვნად აღნიშნავდა: თუ ბედმა გაგვიღიმა, გვინდა აუცილებლად გამოვიდეთ ოლიმპიურ ბილიკებზე მოსკოვში.

სპორტის ამბები

ფეხბურთი. 18 თებერვალს ლისელიძეში, პანსიონატ „სპორტის“ ფეხბურთის მოედანზე გაიმართა კიევის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ამხანაგური საკონტროლო მატჩი. თამაში საინტერესო, ანსაბარ ბრძოლაში წარიმართა და დამთავრდა ფრედ 0:0. კიეველთა გუნდში არ თამაშობდა ბლოხინი, სამაგიეროდ ამ დღეს მათ შემადგენლობაში იყვნენ „ახალბედები“ ონიშჩენკო („ზარიადანი“) და შეპელი („ჩერნომორეცი“). მომდევნო შეხვედრას ქუთაისელები ჩაატარებენ 23 თებერვალს ყორბეშევის „კოლონია სოლეტოვთან“.

ცურვა. სსრ კავშირის ასალი რეკორდი დამყარა 25-მეტრიანი საცურაო აუზებისათვის საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლენინგრადელმა მარინე. მალიუტინამ. მან 400 მეტრი კომპლექსურ ცურვაში დაფარა 5 წუთსა და 06,7 წამში. მიუხედავად ამისა, ეს იყო... ამ დღის მესამე შედეგი. გაიმარჯვა ანდრეა აიფემ (გდრ) — 5.01,7.

ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელმა კიევის „სპარტაკის“ ქალთა გუნდმა გაიმარჯვა ამავე გათამაშების პირველ ნოთხიდფინალურ მატჩში ინგლისის 21:15 (10:5) მან დაამარცხა ბრატისლავაში ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონი — ბლოგოვეცის „ოდევა“. საპასუხო შეხვედრა გაიმართება კიევში 27 თებერვალს.

კალათბურთი. ცსკა-ს ახალგაზრდულმა გუნდმა ბაღდადში ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ერაყის პოლიციის ნაკრები — 93:72.

რიგის სკა-მ საკავშირო ჩემპიონატის მატჩში თავის მოედანზე სძლია კაუნასის „ჟალგირისს“ —95:77 (42:40).

ძალეოსნობა. სოფიაში სტუდენტთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე 60 მეტრი ქალთა შორის ყველაზე სწრაფად დაფარა მოსკოველმა ლიუდმილა მასლაკოვამ — 7,3 წამი. 800-მეტრიან დისტანციაზე პირველი იყო ტამბოველი ალექსანდრე გონჩაროვი — 1 წუთი და 52,3 წამი.

□ **ციბურაობა.** ინსბრუკში (ავსტრია), მსოფლიოს ჩემპიონატზე, გათამაშდა სპრინტერული მრავალჭიდი. ქალთა შორის ოქროს მედალი გადაეცა ამერიკელ ლია პოულსს. სმოლენსკელი ლუბოვ სადჩიკოვა გამოვიდა მეოთხე ადგილზე. მსაჯთა კოლეგიამ მოულოდნელად გააუქმა საბჭოთა სპორტსმენის ტატიანა ავერინასს შედეგი უკანასკნელ დისტანციაზე იმ მოტივით, რომ მან თითქოს დაარღვია შეჯიბრების წესი — ხელი შეუშალა ამერიკელ შ. იანგს. ვაუთა შორის მრავალჭიდში უძლიერესი იყო ნორვეგიელი პენ ბიურანგი. ლენინგრადელმა ალექსანდრე საფრონოვმა აჩვენა მეოთხე შედეგი.

□ **ჰიდაობა.** თელავში ლამთიერდა რესპუბლიკის პირადგუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. სტარტზე გამოვიდა 67 ფალავანი. პირველობა მოიპოვა თბილისის გუნდმა, მეორე ადგილზეა თელავის, მესამეზე — ახმეტის კოლექტივები. ჩემპიონობა მოიპოვეს: ა. ზურაბიანმა, გ. კანდელაკმა, ბ. ზექალაშვილმა (ყველა — თბილისი), ვ. ვეფხიშვილმა, ნ. ჯოხაძემ, ნ. დალაქიშვილმა (ყველა — თელავი), მ. ყურაშვილმა (ქუთაისი) და თ. მიჩიტიძემ (ხესტაფონი).

ოქროს მერცხალი...

გალინა კულაკოვა — მსოფლიოს ჩემპიონი

ფალუნში (შვეცია) მსოფლიოს ჩემპიონატზე სათხილამურო სპორტში პირველი ოქროს მედალი მოუტანა საბჭოთა გუნდს ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონმა, მსოფლიოს ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გალინა კულაკოვამ. ოლეგსკულმა სპორტსმენმა გაიმარჯვა 5-კილომეტრიან დისტანციაზე — 15 წუთი და 17,42 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩეხოსლოვაკიელი ბლანკა პაულუ — 15.19,14. ბრინჯაოს მედალი გადაეცა ჩვენი ნაკრების დებიუტანტს სიკტივკარელ რაისა, სმეტანინას — 15.34,80.

წარმატებით გამოვიდა მეორე სიკტივკარელი სპორტსმენიც, 23 წლის ვასილ როჩევი, რომელმაც ზგრეთვე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი რბოლაში 15 კილომეტრზე — 41.40,65. ოქროს მედალი ამ დისტანციაზე მოიპოვა ნორვეგიელმა მაგრე მიურმუმ — 41.39,09, ვერცხლის მედალი — გერმანელ გრიმერმა (გდრ).

* * *

სურათზე: სწრაფად მიიწევს წინ 5-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშისაკენ გალინა კულაკოვა. სურათი გადაღებულია ბაკურიანში მიმდინარე წელს გამართულ სსრ კავშირის თასის გათამაშების დროს.

ი. გეულაშვილის ფოტო.

ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება იტალიაში

რომი, 18 თებერვალი. (საკ. ინფორ.). რომში დაიწყო იტალიაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. მოროს მოლაპარაკება.

განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მუშაობასთან, აგრეთვე სხვა ნაწილი ერთ-ერთ საერთაშორისო პრობლემები.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. მორომ საუბარი გამართა რომში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა პატივსაცემად.

საუბრის დროს, რომელმაც გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. გრომიკომ და ა. მოროს სიტყვები წარმოთქვეს.

ვეტაკებანი კალიფორნიაში

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საკ.). **ამერიკის ქალაქ კეილექსიკოს რაიონში (კალიფორნიის შტატი) მოხდა შეტაკებანი სოფლის მეურნეობის მუშებსა და პოლიციას შორის.**

ორ წელიწადზე მეტი ხნის წინათ კალიფორნიის სოფლის მეურნეობის მუშებმა შექმნეს თავიანთი ორგანიზაცია — გაერთიანებული პროფკავშირი. მას შემდეგ ისინი განაგრძობენ ენერგიულ ბრძოლას აგრარული კორპორაციებისა და მსხვილი ფერმერების წინააღმდეგ, რომლებიც გადაჭრით ამბობენ უარს ცნონ პროფკავშირი. მეწარმეები, ცდილობენ რა კვლავაც შეინელებლად გაუწიონ ექსპლოატაცია მოსავლის არაორგანიზებულ ამღებთა იაფ სამუშაო ძალას, ქირაობენ შტრეიკბრეხერებს, რომლებსაც გროშებს უხდიან.

სოფლის მეურნეობის მუშათა პროფკავშირმა გამოაცხადა მორიგი გაფიცვა. იგი იბრძვის მისი უფლებების აღიარებისათვის. ამის პასუხად პლანტაციებში გამოჩნდნენ სატვირთო მანქანები შტრეიკბრეხერებით და პოლიციის დიდი რაზმი. მოსავლის ამღებმა მუშებმა ქვები დაუშინეს მათ. პოლიციამ დაატყვევა 16 მუშა. მათ წაუყენეს „უკანონო შეკრებათა მოწყობისა“ და „ამბოხებისათვის წაქეზების“ ბრალდება.

ტელევიზია

20 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. დოკუმენტური ფილმი „მშვიდობა შენ, პლანეტა დედამიწავ!“, 11.30 — მხატვრული ფილმი „სავლებით წესიერი ბიჭები“, 17.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 17.35 — კინონარკვევი, 17.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 18.15 — განცხადებები, 18.20 — კინონარკვევი, 18.45 — მიმართვის საპასუხოდ „ჩავდგეთ მოწინავეთა რიგებში“, 19.10 — რეკლამა, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — „ლიტერატურული ალმანახი“, 20.05 — ინტერვიუ ჩილეს სოციალისტური პარტიის გენერალურ მდივანთან ამხ. კარლოს ალტამირანოსთან საბჭოთა ტელევიზიისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — „ზოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — „ქართველი კომპოზიტორები“. ნიკოლოზ გუდიაშვილი. 21.40 — „სპორტული კვირეული“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი „დონ ჟუანი ტალინში“, 23.40 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექციები ტექნიკურ მექანიკაში, 19.05 — მასალათა გამძლეობაში, 20.05 — განცხადებები, 21.10 — „კინოფიშა“, 20.40 — კინონარკვევი, 21.10 — მხატვრული ფილმი „ცერნიკის საქმე“.

რადიო

21 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.20 — ტახვარჯიში, 06.35 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — დ. კაბალევსკი. ნაწყვეტები ოპერა „ტარასის ოჯახიდან“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური მუსიკა, 11.45 — „პარტიული მუშაკის ტრიბუნა“. საუბარი „თავადრია იდეურობა“, 12.15 — ო. თაქთაქიშვილი. საფორტეპიანო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — სიმღერები ჟ. ბიკოს შესრულებით, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — მ. ბალაკირევი. უვერტიურა სამი ნაწყვეტი სიმღერის თემაზე, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.20 — „ყაზახური მუსიკა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მ. ბალანჩივაძე — ნაწყვეტები ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 17.35 — მოსწავლეთათვის „მხედარი, რომელიც წინ მიაჭრის“, 18.05 — საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სალესტრადო ორკესტრის კონცერტი, 18.45 — სიმღერები პ. სიგერის შესრულებით, 19.00 — მიღიონთა ლენინური უნივერსიტეტი. საუბარი „მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის სისტემის განვითარების ეკონომიური კანონზომიერებანი“, 19.20 — რ. თევდორაძე. ორი ინსტრუმენტული პიესა, 19.45 — ა. ნოვიკოვი. სიმღერები, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ქართული ხალხური მუსიკა, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — ლიტერატურულ-მუსიკალური რადიოკომპოზიცია „წვრილები ფრონტიდან“, 21.40 — კონცერტი ი. ბახის ნაწარმოებებიდან. 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

20 თებერვალი

**რუსთაველის სახელობის